კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება

1. სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, უფლება-მოვალეობები

1.1. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში აკადემიის) რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ანხორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და მონაწილეობს სასწავლო პროცესში.

1.2. ცენტრი უშუალოდ ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

1.3. ცენტრის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ა) ხელოვნების ნიმუშთა დიაგნოსტიკური კვლევა ინტერდისციპლინარული მეთოდებით

ბ) საკონსერვაციო მასალების კვლევა-ტესტირება

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაცია/რესტავრაციის სფეროების განათლების საერთაშორისო გამოცდილების კვლევა და კვლევის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაცია/რესტავრაციის სფეროების მეთოდოლოგიების კვლევა და უახლესი საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა

ე) კვლევითი და სასწავლო პროცესისათვის საჭირო თეორიული და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფა

ვ) კვლევითი და სასწავლო პროცესისათვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება

ზ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაცია/რესტავრაციის სფეროებში პროექტების განხორციელება

თ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კონსერვაცია/რესტავრაციის სფეროების პოპულარიზაცია გამოფენების, სიმპოზიუმების,კონფერენციების, სამეცნიერო კონგრესების ორგანიზებით; პოლიგრაფიული და ელექტრონული ფორმატის გამოცემებით

ი) დარგობრივი ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა

კ) საერთაშორისო, ადგილობრივ, რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან ინსტიტუციონალური თანამშრომლობა სამეცნიერო, კულტურულ და საინფორმაციო სფეროებში

ლ) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებსა და ბიზნეს-სექტორთან

მ) აკადემიის მეცნიერ-მკვლევართა საერთაშორისო საგანმანათლებლო და აკადემიური განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამების განხორციელება და მობილობის სტიმულირება (სტაჟირება,სწავლება, გაცვლითი პროგრამები, გრანტები,

სტიპენდიები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.)

ნ) ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მომიჯნავე დარგების სპეციალისტების ინტეგრაცია ინტერდისციპლინური კვლევების საწარმოებლად

1.4. ცენტრის უფლება-მოვალეობები:

ა) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია

ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

გ) საერთაშორისო და ადგილობრივ, უცხოურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო, კულტურული და საინფორმაციო სფეროებში ურთიერთობის კოორდინაცია

დ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობისა დაგანხორციელების მიზნით საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ცენტრებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან და სხვა

ე) რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის მაგისტრანტების და დოქტორანტების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში, აკადემიის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში

ვ) აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების კონკურსის წესით შერჩევა

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება

2. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი

2.1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო პერსონალი შეიძლება შედგებოდეს მეცნიერებისა და პოსტდოქტორანტებისგან.

2.2. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და მეცნიერ თანამშრომელი.

2.3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად კონკურსის საფუძველზე აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.

3. სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი.

3.1.1. კონკურსს ატარებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩეული და დამტკიცებული საკონკურსო კომისია.

3.1.2. საკონკურსო კომისია შედგება 5 წევრისგან.

3.1.3. კომისიის წევრები აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან.

3.1.4. საკონკურსო კომიის წევრი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3.1.5. პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის კონკურსში მონაწილეობა გამორიცხავს მის საკონკურსო კომისიაში წევრობას, რისთვისაც ვალდებულია გამოაცხადოს აცილება.

3.1.6. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს საკონკურსო კომისიის წევრებს იმ პირებიდან, რომლებიც არ აცხადებენ უარს კომისიის წევრობაზე.

3.1.7. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

3.2. სამეცნიერო პერსონალის ვაკანსიის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენტთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი თანამდებობაზე არჩევა. საუკეთესოს გამოვლენა გულისხმობს თითოეული კანდიდატის, მისი პროფესიული უნარების, გამოცდილების, სამეცნიერო პოტენციალის შეფასებას. კონკურსის მიზანია პრეტენდენტთაგან გამოავლინოს ის კანდიდატი, რომელიც მაქსიმალურად შეეფერება შესაბამის ვაკანტურ თანამდებობას.

3.3. საკონკურსო კომისია და მისი თითოეული წევრი გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეული წევრი უნდა ხელმძღვანელობდეს გამოქვეყნებული საკონკურსო განცხადებით, თითოეული ვაკანტური თანამდებობის მიმართ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, კრიტერიუმებით რომლებიც მითითებულია საკონკურსო განცხადებაში და ა.შ.

3.4. კონკუსის ჩასატარებლად განცხადება ქვეყნდება აკადემიის ვებ. გვერდზე, საბუთების მიღებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე.

3.5. კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკვალიფიკაციო დოკუმენტები აკადემიის კანცელარიაში, განცხადებაში მითითებულ ვადებში და დალუქული კონვერტით.

3.6. დალუქული კონვერტები გაიხსენება საკონკურსო კომისიის მიერ უშუალოდ კონკურსის მიმდინარეობისას.

3.7. საკონკურსო კომისია საბუთების შემოტანის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღის განმავლობაში განიხილავს კანდიდატების განაცხადებს. საკონკურსო კომისია შეარჩევს საუკეთესო კანდიდატურას ვაკანტურ თანამდებობაზე და მიღებულ გადაწვეტილებას აქვეყნებს აკადემიის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

3.8. კომისიას აქვს უფლება მოითხოვოს გასაუბრება კონკურსანტთან.

3.9. გამარჯვებული კანდიდატის შერჩევის შესახებ განდაწყვეტილება მიიღება კოლეგიალურად. კოლეგიალური გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.

3.10. სამეცნიერო პერსონალი აირჩევა 5 წლის ვადით.

4. სამეცნიერო პერსონალის უფლებები და მოვალეობები

4.1. მეცნიერის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, შრომითი ხელშეკრულებით.

4.2. მეცნიერს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები
გ) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში
დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი

4.3. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
დ) ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარადგინოს სამეცნიერო ნაშრომი ან მიმდინარე კვლევის ანგარიში;
ე) მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ან ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში;

4.4. აკადემია/ფაკულტეტი და ცენტრი უზრუნველყოფს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის თავისუფლებას.

5. ცენტრის მართვა და სტრუქტურა

5.1. ცენტრის მართვის ორგანოებია სამეცნიერო საბჭო და ცენტრის დირექტორი.
5.2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლები ქმნიან სამეცნიერო საბჭოს.
5.3. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი.

6. ცენტრის სამეცნიერო საბჭო

6.1. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება:
ა) განიხილავს და წყვეტს ცენტრის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში
გ) ასრულებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონმდებარე აქტებით და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს

6.2. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

6.3. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს საბჭოს მუშაობის პროცედურულ და ტექნიკურ გამართულობას, უძღვება საბჭოს სხდომებს.
6.4. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 5 წლით.
6.5. ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით, მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.
6.6. ცენტრის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება მის მიერ მთავარი მეცნიერის თანამდებობის დაკარგვასთან ერთად, 5 წლიანი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის, პირადი განცხადების ან სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

7. ცენტრის დირექტორი

7.1. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი.
7.2. ცენტრის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ცენტრის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე ფაკულტეტის საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით. ცენტრის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ცენტრის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება ფაკულტეტის საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.
7.3. ცენტრის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება.
7.4. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილევის შეწყვეტას.
7.5. თუ პირს არ უკავია ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ცენტრის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თამაშრომლის თანამდებობაზე არჩეულად.
7.6. ცენტრის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამეცნიერო საბჭო, საბჭოს წევრები შეისწავლიან დირექტორობის საკვალიფიკაციო მოტხოვნებთან შესაბამისობას და ეცნობა კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ცენტრის განვითარების კონცეფციას.
7.7. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას კომისიის წევრებმა შესაძლოა დაავალონ საკონკურსო აპარატის ცალკეულ წევრებს შეისწავლონ გარკვეული დოკუმენტი (ან მისი ცალკეული იურიდიულ თუ საგანმანათლებლო სტანდარტებთან დაკავშირებული ნაწილი) და წარმოუდგინონ კომისიას პროფესიული შეფასება.
7.8. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი ან/და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კანდიდატის განაცხადი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში აღარ განიხილება.

8. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება

8.2. მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს.

8.3. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

8.4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

8.7. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს.

8.7. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

9. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები

9.1. ცენტრის სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები და შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია ფაკულტეტის ბიუჯეტთან, ცენტრის მიმდინარე შემოსავლებთან, ასევე მოპოვებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებთან, გრანტებთან ან/და სხვა დაფინანსებასთან. ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის სამსახურებრივი ვალდებულებები და შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მათ მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო კვლევით საქმიანობაზე.

9.2. სამეცნიერო პერსონალთან იდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულება.

9.3. სამეცნიერო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება

ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა

გ) დისციპლინური ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა

დ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები

10. ცენტრის სამეცნიერო ბაზა:

1. ქიმიური ლაბორატორია
2. გეოლოგიური ლაბორატორია
3. ბიოლოგიური ლაბორატორია
4. ნიმუშების პრეპარაციის ლაბორატორია
5. დოკუმენტაციის განყოფილება და ბიბლიოთეკა
6. ფიზიკა-ოპტიკური მეთოდებით კვლევის ლაბორატორია

11. ცენტრის ბიუჯეტი

11.1. ცენტრის ბიუჯეტის პროექტი მზადდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ და წარედგინება ფაკულტეტის დეკანს. ბიუჯეტის პროექტს განიხილავს ფაულტეტის საბჭო და მოწონების შემთხვევაში, ის აისახება ფაკულტეტის საერთო ფინანსურ საჭიროებებში. ცენტრის ბიუჯეტის პროექტს უნდა ახლდეს ინფორმაცია და ფინანსური გაანგარიშება ცენტრის შემოსავლების წყაროების შესახებ. ცენტრის ბიუჯეტი მტკიცდება აკადემიის ბიუჯეტთან ერთად, აკადემიის ბიუჯეტის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

11.2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) აკადემიის/ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება
ბ) ცენტრის მიერ მოპოვებული დაფინანსება
გ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი
დ) კანონმდებლობით აუკრძალავი სხვა დაფინანსება

12. ცენტრის სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა

12.1. ცენტრის საგანმანათლებლო საქმიანობა

12.1.1. ცენტრის ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობას წარმოადგენს ფაკულტეტის სამივე საფეხურის პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა

12.2. ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა

12.2.1. ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მუშაობის კოორდინაცია

12.2.2. სამთავრობო და არასამთავრობო არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ მისიებთან სამეცნიერო, კულტურულ და საინფორმაციო სფეროებში ურთიერთობის კოორდინაცია

12.2.3. საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობისა და განხორციელების მიზნით საქმიანი კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ცენტრებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სექტორთან და სხვა

12.2.4. აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის მაგისტრანტების და დოქტორანტების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში

13. ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიში

13.1. ცენტრის დირექტორის მიერ უნდა მომზადდეს ყოველწლიური ანგარიში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

13.2. ცალკეული სამეცნიერო/კვლევითი პროექტის დასრულების შემთხვევაში, დამოუკიდებლად უნდა მომზადდეს ანგარიში ამ პროექტის თაობაზე.

13.3. ანგარიშის წარდგენა ხდება სამეცნიერო საბჭოზე და ფაკულტეტის საბჭოზე.

13.5. ინსტიტუტის ანგარიშს წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოზე წარადგენს ინსტიტუტის დირექტორი.

13.6. ინსტიტუტი წლიურ სამეცნიერო ანგარიშს აგზავნის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში.

14. ცენტრის პერსონალი

ცენტრს ყავს ადმინისტრაციული და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალი, რაც აისახება ფაკულტეტის საშტატო ნუსხასა და სტრუქტურაში. ფაკულტეტის საშტატო ნუსხისა და სტრუქტურის ფარგლებში, ფაკულტეტის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ფაკულტეტის დეკანი ცენტრის დირექტორის წარდგინებით.

ცენტრის პერსონალის სამუშაო აღწერილობა:

1. მეცნიერ-თანამშრომელი

- ჩართულია პრაქტიკულ/ლაბორატიულ სამეცნიერო-კვლევით ექსპერიმენტულ საქმიანობაში
- ახორციელებს სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას
- მონაწილეობს სამეცნიერო ფორუმებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, კონფერენციებში;
- მონაწილეობს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში
- აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს
- მიჰყავს სალექციო კურსები და სემინარები

2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

- განსაზღვრავს და წარმართავს ინსტიტუტის სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით პრიორიტეტებს და ადგენს კვლევით მიმართულებებს
- ამზადებს საკვლევი პრობლემატიკის საკითხებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
- მონაწილეობს სამეცნიერო ფორუმებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში, სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში და სხვ.
- მონაწილეობს სამეცნიერო საგრანტო პროექტებში
- მონაწილეობს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაში
- ხელმძღვანელობს მაგისტრანტთა სადიპლომო ნაშრომებს და დოქტორანტთა სემინარებსა და სადისერტაციო ნაშრომებს
- მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობაში
- მონაწილეობს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობაში
- მიჰყავს სალექციო კურსები და სემინარები